ხელშეკრულება 35

ქ.თბილისი 20 ივლისი 2017 წ.

ერთის მხრივ შ.პ.ს. „პენსან ჯორჯია“ შემდგომში „გამყიდველი“, წარმომადგენელი მისი დირექტორის გიგა გობიანიძის სახით და მეორეს მხრივ სსიპ-მარნეულის მუნიციპალიტეტის N 7 საჯარო სკოლის შემდგომში „მყიდველად“ წოდებული, წარმომადგენელი მისი დირექტორის ვახიდ იბრაგიმოვის სახით, მოქმედებენ რა საქართველოს კანონმდებლობისა და მათთვის დამტკიცებული წესების საფუძველზე, დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინსამდებარე ხელშეკრულების საგანია საკანცელარიო საქონლის ((CPV:30100000) შეძენა. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურიების სანაცვლოდ.

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია N 1 დანართში (მიღება-ჩაბარების აქტი), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 გამყიდველის ვალდებულებები:

„გამყიდველი“ვალდებულია გადასცეს „მყიდველს“ სათანადო ხარისხის საქონელი, შეკვეთის მიცემიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.2 „მყიდველი“ ვალდებულია მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე და თითოეული კონკრეტული შეკვეთისათვის გამოწერილ სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით მიწოდებული საქონელი.

2.3 მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულერბა 3.1 პუნქტით დადგენილი პირობებით.

3. გადახდის პირობები

3.1 „მყიდველი“ ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის თითოეული შეკვეთის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით აანაზღაუროს საქონლის მიწოდებიდან 10 დღის ვადაში წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ- ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების მიხედვით.

3.2 გადახდა იწარმოებს ნაღდი ან უნაღდლო ანგარიშსწორებით.

3.3 3.1 პუნქტის ვადის დარღვევის შემთხვევაში „გამყიდველი“ იტოვებს უფლებას დააკისროს „მყიდველს“ საურავი 0.5 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

4.2 იმ შემთხვევაში, თუ „გამყიდველი“ არ მიაწვდის ან არა დროულად მიაწვდის საქონელს „მყიდველს“, „მყიდველი“ იტოვებს უფლებას მოითხოვოს და ამ შემთხვევაში „გამყიდველი“ ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა დაგვიანებული ან არ მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.5 % ოდენობით.

5. ფორს-მაჟორი

5.1 მხარეები თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივი,ან სრული შეუსრულობლებისაგან, თუ მათი შესრულება აღმოჩნდა შეუძლებელი დაუძლეველ ძალათა მოქმედების შედეგად, რომელიც წარმოიქმნება მოცემული ხელშეკრულების დადების შემდეგ და რომელსაც მხარეები წინ ვერ აღუდგებოდნენ.

5.2 მოცემული ხელშეკრულების კონტექსში ზემოხსენებულ გარემოებებს მიეკუთვნება: სტიქიური უბედურებები, ომი ან საომარი მოქმედებები, გაფიცვები დარგში ან რეგიონში, სახელმწიფო ხელისუფლების ან მმართველობის, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება, რომელიც გამოიწვევს მოცემული ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობას. ასევე, სხვა გარემოებები, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა ნებაზე.

5.3 მხარე რომელსაც შეექმნა ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამომწვევი ზემოთხსენებული გარემოება, ვალდებულია დაუყონებლივ, არაუგვიანეს 5 (ხეთი) სამუშაო დღისა, აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. ასეთ შემთხვევაში მხარეთა წარმომადგენლებმა უმოკლეს ვადაში უნდა მიიღონ ერთმანეთის კონსულტაციები და შეათანხმონ მხარეთა მიერ გასატარებელი ზომები.

5.4 ასეთი გარემოებების დადგომისა და მათი ხანგრძლივობის ფაქტი უნდა დამოწმებული იყოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების ან და ორგანიზაციების მიერ გაცემული დოკუმენტებით.

6. ხელშეკრულების შეტყვეტა ან განახლება

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ან საქართველოს კანონომდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეებმა არანაკლებ ერთი თვით ადრე უნდა აცნობონ ერთმანეთს წერილობით.

6.3 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 31.12.2017 წლამდე.

6.4 თუ, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე არც ერთი მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების ვადა გრძელდება ავტომატიურად მომდევნო 1 წლით, გარდა ამ ხელშეკრულების 5.1 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

6.5 შესაძლებელია ურთიერთშეთანხმებით ხელშეკრულებაში ცვლილება დამატების სახით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7. დასკვნითი დებულებები

7.1 წიმანდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

7.2 ყოველგვარი დავა და შეუთანხმებლობა მხარეთა შორის უნდა გადაწყდეს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო.

7.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითო ეგზემპლარი მხარეებს.

8. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„გამყიდველი"	„მყიდველი"
შპს „პენსან ჯორჯია"	სსიპ-მარნეულის მუნიც.
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ.N18	N 7 საჯარო სკოლა
ს.ს. „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია"	ს/ნ 234222720
ბანკის კოდი: UGEBGE22	მარნეული, ნარიმანოვის ქ. 32
ანგ. GE35VT6500000055555555	
ს/კ N404870760	
---	---
დირექტორი: გიგა გოგბიანიძე	დირექტორი: ვასილ იბრაგიმოვი

მიღება-ჩაბარების აქტი-

ქ.თბილისი 20.072017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ- მარნეულის მუნიც. N 7 საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახიდ იბრაგიმოვი სახით, ხოლო მეორეს მხრივ (შემდგომში მიმწოდებელი) შპს „პენსანჯორჯია", მისი ხელმძღვანელის გიგა გობიანიძის სახით ვადგენთ წინამდებარე აქტს შემდეგზე: 2017 წლის 20 ივლისს N 35 ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელმა" ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა" ჩაიბარა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით ღირებულება შეადგენს 16.80 (თექვსმეტი ლარი და 80 თეთრი) ლარი.

რიგ.N	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	სკოჩი 45მმ/90მ/45მკ 45მმ/90მ	ცალი	6	1.6	9.6
2	ფაილი 30 მკ. ცი-1011-30	შეკვრა	2	2.6	5.2
3	თითის დასასველებელი ბურთულა დელ-9109	ცალი	1	2	2
					16.8

რასაც ვადასტურებს ხელისმოწერით

გამყიდველი: /გ.გობიანიძე/

მყიდველი: /ვ.იბრაგიმოვი/

საგადასახადო დავალება №-2

" 21" ივლისი 2017 წ.

გადამხდელის დასახელება	ქ. მარნეულის #– 7 საჯარო სკოლა		
	ანგარიში (დებეტი)	GE44LB0121152941348000	თანხა
		ბანკის კოდი	16-80
გადამხდელის ბანკი	LB ლიბერთი ბანკი	LBRTGE22	
	ივსება მხოლოდ სახელმწიფო ხაზინაში გადახდების დროს		
გადასახადების გადამხდელის დასახელება	ქ. მარნეულის #– 7 საჯარო სკოლა		
საიდენტ.კოდი	234222720	მიუჯავშნის შემოსავლების სახაზინო კოდი	თანხა სიტყვებით
მიმღების დასახელება	შპს "პენსან ჯორჯია"		
	ანგარიში (კრედიტი)	GE35VT6500000055555555	*თექვსმეტი ლარი*
მიმღების ბანკი		ბანკის კოდი	*80 თეთრი*
"ვითიბი ბანკი ჯორჯია"		UGEBGE22	
გადახდის დანიშნულება			
	საქონელი ღირებულება		ბანკის აღნიშვნები:
			ბანკში შემოსვლის თარიღი
			გაფორმებულია ბანკის მიერ 21.07.2017წ.
დამატებითი ინფორმაცია	ს/კ 404870760		ხელმოწერა
ხელმოწერები:	ხელმძღვანელი –		შტამპის ადგილი
	მთ. ბუღალტერი–		